აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

MUNICIPALITY COUNCIL OF ABASHA

0200 აბაშა, უჩა კაჭარავას ქ. №1 ტელ/ფაქსი 412: 29-19-19

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება №1-045

აბაშა, 2020 წლის 19 აგვისტო

ქართლოს შონიას გადაყვანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ” აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 იანვრის №2 დადგენილებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი” 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ახალგაზრდულ და დემოგრაფიულ საკითხებში ქართლოს შონია გადაყვანილ იქნეს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ახალგაზრდობისა და გენდერული თანასწორობის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტად ახალგაზრდულ და დემოგრაფიულ საკითხებში.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქართლოს შონიას დანიშვნის შესახებ” აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2015 წლის 31 მარტის №1-014 ბრძანება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე: მ. კვიტაშვილი